

ივერიის

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	0	5	5	50
01	8	5	4	4	75
9	8		3	3	50
8	7	2	2	2	75
7	6	5	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებთა დასაბუღად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამორც. საზოგადოების კანცელიარის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაბ. შემოხვებულ — 8 კაბ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქ. ბარბარე მერაბის ასული და ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკა შვილიანი; ქ. მარია აჩილის ასული წერეთლისა და თ-ლი მალხაზ არჩილის ძე ანდრონიკა შვილი გულითადის მწუხარებით აღწყებულნი ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ძისა, მეორე მეუღლისა და დანარჩენი ძმისა თვისისა **თაბ.** **სოლომონ არჩილის ძის ანდრონიკა შვილისას,** უმოწილესა და სთხოვეთ სცენ პატივი და მობრძანდნენ დასაწერებლად განსვენებასა და დასაფლავებაზე კირას, 28 იანვარს, ს. კოდალოს, სიღნაღის მახრისა, დილის 10 საათზე (1-11-1)

ნაშუადღევს პირველ საათზედ საყვარელი მწყემსი - მთავარი დაჰყარა მისგან ამდენის ხნი შემტყუარა და სულიერად დაკავშირებულმა, სამწყსომ. განსვენებულს ეპისკოპოსში ჩვენ დაჰყარეთ ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ქართველ მღვდელთ-მთავართა, რომელნიც გულითა და სულით ერთგულნი იყვნენ ჩვენის ეკლესიისა და რომელთათვისაც ქართველი ერის ინტერესები შეადგენდა ერთადერთს იდეალს ცხოვრებისას.

გარდა იმისა, რომ განსვენებულმა ეპისკოპოსმა ქართველი სამღვდლოებისყოფა-ცხოვრება ააზღვრობდა, ზნეობრივად აღმაღლა იგინი; გარდა იმისა, რომ ქართველი სასულიერო წოდების განათლებად ზრუნავდა, გარდა იმისა, რომ დაუფიქრარსა და საყვარელს მწყემსს მთავარს დიდი გავლენა ჰქონდა მთელი სამწყსოს სულიერს ცხოვრებაზედ, იგი იყო საუკეთესო წარმომადგენელი ქართულთა სიკეთისა მქერ მტყუებლისა. მისი ქადაგების კილო, თუმც არ არის შეხამებული სხვა-და-სხვა ფერადონი სიტყვებით, მაგრამ მარტოვია და ძლიერია, აღსავსეა ღრმა ზნეობრივის აზრებით და ამიტომ დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. მისი ნაწერების კილო, სრული გამომხატვლია მისი შემოქმედის-მწყემს-მთავარის სულიერის არსებობისა. მშვიდი და წყნარი ეპისკოპოსის, ისეთივე უბრალო იყო გარეგანის შესრულებით, მაგრამ ისეთივე ღრმა გონივრებით და აზრებით იყო აღსავსე ბუნება ამ ღვთიურის ადამიანისა.

დღეს მთელი საქართველო ცრემლს აფრქვევს მისი დიდ-

ბულის ცხედრის წინ და მუხლმოდრეკილი თავის გულის პასუხს, გულის ნაღებს აღიარებს საყვარელის მოძღვრის წინაშე, რათა იგი მეოხ გვეყოს ჩვენ აწუც, როცა მასთან გავსწყვიტეთ ყოველივე ამ ქვეყნიური კავშირი.

საქეპო ინსპექტორი ექიმი სტეფანოვი.

საბჭოს სხვათა შორის მოახსენეს, რომ ქალაქში ხუნაგი მოისპოვო.

* * * დღეს ცირკში წარმოდგენა დანიშნული იმ მოსწავლე ღარიბ შეგიერთა სასარგებლოდ, რომელიც ამ წელს სწავლას ამთავრებენ ტფილისის პირველ გიმნაზიაში.

* * * ტფილისის გუბერნატორმა იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელიც დანიშნულია ტყვის გამკეთებელ ქარხანების ქალაქის გარედ გადასატანად, გუშინ საგუბერნიო ექიმი ტ. ს. ქიქოძე დანიშნა. ეს კომისია ამ დღეებში შეუდგება თავის საქმეს.

* * * სხვა-და-სხვა სოფლებიდან ქართლისა და კახეთისა გვატყობინებ, რომ ამ ბოლოს დროს საშინელი სიცივები და ყინვება ჩვენში... თოვლი თითქმის ყველგან მოსულა.

* * * ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი წიგნი „მატი-ხეტიკა“ რომანი ანტონ ფურცელაძისა, გამოცემა ზ. ქიქინაძისა. ეს რომანი პირველად 1872 წლის ქურნალ „მნათობ“-ში იბეჭდებოდა, 1891 წ. პირველად ცალკე გამოიცა და ახლა მეორე გამოცემა.

წიგნი დაბეჭდილია სუფთათ, შარაძის სტამბაში, კარკს ქალაქზე, 200 მეტი გვერდია მოზღლის ზომისა და ღირს ორი აბაზი.

* * * ტფილისის იარაღსაზე, ძველს მეწივნებში ხშირად კაცი ისეთს ძველს წიგნს ჰპოვებს, რაც კაცმა სხვაგან სათლით რომ ეძებოს, მაინც ვერ იპოვინს. ნამეტურ კაცი აქ ხშირად შეხვდება ძველს ქართულს ხელთ ნაწერს წიგნებს. მაგალითებრ: ამ დღეებში ერთს ქართველს აქ უშოვნია „კატეხიზმა“ იონა ბერისა, ეს წიგნი საღმრთო შინაარსის მე-

ქართული თეატრი.

კვირას 28 იანვარს, 1896 წ.

ქართულ დრამატულ საზოგადოების დასისაცან

წარმოდგენილი იქნება

ქნ ჯაღლიშვილის, გაბუნა-ცაგარდის, აბაშიძის და კ. მესხის მონაწილეობით

I

ხანუგა

კომედია 3 მოქმდ. ავტ. ცაგარლისა

II

დემონი

დრამატ. სცენა 1 მოქმდ. ლერმონტოვისა, თარგ. მ. გურჯაღის მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: გაბუნა-ცაგარლისა, ავალოვისა ჩერკეზი შვილისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, და სხვ. ბ-ნი აბაშიძე, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე, ცაგარელი, საფაროვი და სხვ.

ადგილებს ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოქების უკან 65 კაბ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ოთხშაბათს 31 იანვარს დინიშნულია ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა.

რეჟისორი ვლ. აღუქიშ-მესხი შვილი

მეორე დღე.

† ყოვლად უსამღვდელოესი ამქვეყნის ეპისკოპოსისა გაბუნა კლია.

გუშინ დღეებში მეტად სამწყუხარო ამბავი მოგვიტანა: 24-ს იანვარს ყოვლად უსამღვდელოესი გაბრიელი მძი ევადამყოფი შეიქმნა; მარცხენა ფილტვის ანთება მოუვიდა, ხოლო 25-ს იანვარს ნაშუადღევს პირველს საათზედ მიიცივალა.

შარაძის 8-ს სექტემბერს 35 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ყოვლად უსამღვდელოესს გაბრიელი იმერეთის ეპისკოპოსად დანიშნა. ამის გამო ჩვენი ქურნალებში და გაზეთებში დაწერილობით იყო მოთხრობილი ზოგრაფია აწ უკვე განსვენებულის მწყემსთ მთავრისა. ამიტომაც სრულიად მოკლედ გავახსენებთ მკითხველებს დაუფიქრარის ეპისკოპოსის ცხოვრებას. დაიბადა გაბრიელი 1825- ში. გვარად იყო ქიქოძე სწავლა დაამთავრა ჯერ ტფილისის სემინარიაში, ხოლო მერე აკადემიაში-ს 1849-ში. 1858-ში იკურთხა არხიმანდრიტად, ხოლო 1860-ში იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად იქმნა დანიშნული. 1896 ს. იანვრის 25 ს

აქალაქი ამბავი

* * * ჩვენ მოგვივინა გუშინ ორი დღე-შა ქუთაისიდან: ერთი ჩვენის კორესპონდენტი სიგან და მეორე ექიმის ბ. ძნელაძისაგან. კორესპონდენტი გვწერს: „დღეს ნაშუადღევს 1 საათზედ გარდაიცვალა ეპისკოპოსი გაბრიელი.“ ექიმი ძნელაძე გვწერს: „ეპისკოპოსი გაბრიელი გარდაიცვალა დღეს ფილტვების ანთებისგან ინფლუენცის შემდეგ.“

* * * ქალაქის სასანიტარო და საექიმო საბჭოს ამ დღეებში სხდომა ჰქონდა. საბჭომ განიხილა ტფილისის გუბერნატორის მიერ გამოგზავნილი პროგრამა პეტერბურგში დანიშნულ (ნოემბერში) კრებისა იმ ექიმთა, რომელნიც ვენერიულ ავადმყოფობიდან არჩნენ. საბჭომ დაადგინა 20 თებერვლამდე შეადგინოს დაწვრილებული მოხსენება იმის შესახებ თუ რა ღონის ძიება საჭირო ვენერიულ ავადმყოფობის მოსაპობლად და ანუ დასაკლებლად. კრებაზე როგორც შევიტყუებ პეტერბურგში დაეწერება ქალაქ ტფილისის წარმომადგენელი სასანიტარო და

ბოშელა სიტყვების რაზუნია, აქიო და ენა მეტყვეობა, ანუ სხვის ნადეჟის ხელ-ახლად ღებვა როგორც ბ. მ. გ. წერეთელმა იცის და ახალ ამბად-კი ასაღებს თავისის სახელით.

გადსწყვიტეს, რომ აწ არსებული სკოლა იმ სახისა და პროგრამისავე იყოს, როგორც არის და ყოველწლივ თვითო კლასისი მოემატოს, ვიდრე სრულ გიმნაზიად გადაიქცეოდეს. კარგი და პატიოსანი. ამ სახით გაიმარჯვა ბერძულმა და ლათინურმა ჩვენში. ნეტავი ჩვენ!.. ყველაფრით სავესნი ვიყავით, ეს ბერძული და ლათინური-ღა გვაკლდა და ამა-საც ხომ ვისწავლით!.. ერთმა იქ დამსწრემ კაი ნუგეში მოგვცა. რა ძალიან უფროსით ამ ბერძულს და ლათინურსაო. ერთიცა და მეორეც მკვდარი ენაა და შორს არ არის ის დრო, რომ დასამარხავი გავიხდებოდა. დეე იყვნენ, მინამ დიამარხე ბიანო. ყველამ სიხარულით პირები დავაღეთ ეს ნუგეში რომ მოგვეცა.

იყვნენ, მაგრამ ჩვენ რომ ისე მოგვივინდეს მკვდარი მკვდარს ავიკიდა, საფლავამდე წამიღეთ? ან მინამ პეტრე მოვიღოდა, პავლეს ტყავი გააძ-

რესო! მაშინ რაღა ვქნათ? თუნდ ეგეც არ იყოს, ეგ მკვდრები ჩვენ რაღა უნდა შეგვანახინონ! იმიტომ ხომ არა, რომ ყვავმა თავისი მკვდარი ბახალა ბუს მიუგდო, დიდი იავი გაქვს და შენ იტირებო. რა დანტირებელნი და ჰირის-უფაღნი ჩვენა ვართ ბერძულისა და ლათინურისა. მკვდარი მკვდრის პატრონისათვის ჩავგებარებინა, უფრო უპირანი არ იყო. სხვა ვეღარავინ იშოვეს ჩვენს მეტი?! მადლობა დემეტრის!.. ცხონებულმა მიხეილ ნიკოლოზიმ კატკოვმა ბერძულს და ლათინურს კაი მაგარი აკლდამები აუშენა და ბევრიც: ერთ ერთგან მიგვესვენებინა!.. ჩვენი რა შესანახნი არიან! ან რა ძალია გვადგია, რომ მკვდრების სუნით გვიწინა მოგვხამოთ საღი პაერი სკოლისა. ყოველივე ეს მერე მოგვივიდა ფიქრად, მაგრამ გვიან-ღა იყო. ნუგეშმა თავისი გაიტანა. მკვდრებმა გაიმარჯვეს ცოცხლებზე.

იქნება ეს ასეც უნდა. დეე მართლა იყვნენ ეს მკვდრები, მინამ აიღებს ვინმე ღდასამარხავად გაიტანს. ასე, თუ ისე ბ-ნი გ. წერეთელმა სიხარულით მაშინვე ღებვა გაუგზავნა საიქიოს

ფელეტონი

ჩვენი მხლანდელი სიბრძნე-სიბრძნე.

დემეტრე მეორე.

მოწაფენო ქალბატონებო და მოწაფენო ბატონებო.

წინა ლექციაში მოგახსენეთ, რომ საბა ორბელიანისებური სიტყუე ნამუსიანია. არც არავისა მტრობს და არც არავის ჰგმობს-მეთქი, არც არავის ჰყიღის და არც არავის ყიდულობს. იგი ერთგული მსახურია სიბრძნისა და ამიტომაც მადლიანიც არის.

სულ სხვაა ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიტყუე. ეხლა სიტყუე, ვით გამოუქმელი ხარი, სიბრძნის უღლიდამ გამოეშვა და გაყალბებული დაიარება თავისად. თუ სადმე წააწყდება სიბრძნეს, მარტო იმისთვის, რომ თვითონ ბატონად გამოეკვიმოს და სიბრძნე მსახურად გაიხადოს. მაგალითებისათვის შორს არ მოგვიჩვენებთ წასვლა.

ხომ გახსოვთ 23-ს დეკემბერს მო-

მხდარი კრება სათავად აზნაურო სკოლის საქმეზე. ისიც გვეხსომებათ, რომ ჩვენს საზოგადოებას ოდესღაც ამოურჩევია კამისია და მიუნდვია გამოარკვეოს რა სახის სკოლაა უფრო სჯირო ჩვენთვის: ის, რაც ეხლა არის, თუ სხვა გვარი რამ სკოლა. კამისიას უმუშავნია კარგა ხანს, ბევრი რამ საბუთი და ცნობა შეუკრებია, რაც ძალი და ღონე ჰქონია არ დაუზოგავს, საქმეში ჩაუხედნია, აუღია, დაუღია და ეს დაუსვენია: აწ არსებული სკოლა დარჩეს, როგორც დღეს არის და მის სისწორე სჯიროა გაიმართოს სამეურნეო სკოლა-ცხო.

მე იმის განხილვაში არ შევალ, მართალია ამაში კამისია, თუ არა. ასე, თუ ისე, — ეს მისი აზრია, მისი დასკვნაა და როგორც თვით სიმძიმე საქმისა ითხოვს, ისე უნდა გამოაჭიდებოდნენ კამისიისაგან დასკვნის აზრსა. რა თქმა უნდა, ამ საგანზე ბევრი პოც ითქმის და ბევრი არაც და არავის არ აეკრძალება თავისი სთქვას. ხოლო ქუთა-დამჯდარი, წინ-მოფიქრებული, წინ-დახედული, აზრ-იანი თქმა-კი უნდა და არა ბორ-

მხდარი კრება სათავად აზნაურო სკოლის საქმეზე. ისიც გვეხსომებათ, რომ ჩვენს საზოგადოებას ოდესღაც ამოურჩევია კამისია და მიუნდვია გამოარკვეოს რა სახის სკოლაა უფრო სჯირო ჩვენთვის: ის, რაც ეხლა არის, თუ სხვა გვარი რამ სკოლა. კამისიას უმუშავნია კარგა ხანს, ბევრი რამ საბუთი და ცნობა შეუკრებია, რაც ძალი და ღონე ჰქონია არ დაუზოგავს, საქმეში ჩაუხედნია, აუღია, დაუღია და ეს დაუსვენია: აწ არსებული სკოლა დარჩეს, როგორც დღეს არის და მის სისწორე სჯიროა გაიმართოს სამეურნეო სკოლა-ცხო.

მე იმის განხილვაში არ შევალ, მართალია ამაში კამისია, თუ არა. ასე, თუ ისე, — ეს მისი აზრია, მისი დასკვნაა და როგორც თვით სიმძიმე საქმისა ითხოვს, ისე უნდა გამოაჭიდებოდნენ კამისიისაგან დასკვნის აზრსა. რა თქმა უნდა, ამ საგანზე ბევრი პოც ითქმის და ბევრი არაც და არავის არ აეკრძალება თავისი სთქვას. ხოლო ქუთა-დამჯდარი, წინ-მოფიქრებული, წინ-დახედული, აზრ-იანი თქმა-კი უნდა და არა ბორ-

მხდარი კრება სათავად აზნაურო სკოლის საქმეზე. ისიც გვეხსომებათ, რომ ჩვენს საზოგადოებას ოდესღაც ამოურჩევია კამისია და მიუნდვია გამოარკვეოს რა სახის სკოლაა უფრო სჯირო ჩვენთვის: ის, რაც ეხლა არის, თუ სხვა გვარი რამ სკოლა. კამისიას უმუშავნია კარგა ხანს, ბევრი რამ საბუთი და ცნობა შეუკრებია, რაც ძალი და ღონე ჰქონია არ დაუზოგავს, საქმეში ჩაუხედნია, აუღია, დაუღია და ეს დაუსვენია: აწ არსებული სკოლა დარჩეს, როგორც დღეს არის და მის სისწორე სჯიროა გაიმართოს სამეურნეო სკოლა-ცხო.

მე იმის განხილვაში არ შევალ, მართალია ამაში კამისია, თუ არა. ასე, თუ ისე, — ეს მისი აზრია, მისი დასკვნაა და როგორც თვით სიმძიმე საქმისა ითხოვს, ისე უნდა გამოაჭიდებოდნენ კამისიისაგან დასკვნის აზრსა. რა თქმა უნდა, ამ საგანზე ბევრი პოც ითქმის და ბევრი არაც და არავის არ აეკრძალება თავისი სთქვას. ხოლო ქუთა-დამჯდარი, წინ-მოფიქრებული, წინ-დახედული, აზრ-იანი თქმა-კი უნდა და არა ბორ-

მხდარი კრება სათავად აზნაურო სკოლის საქმეზე. ისიც გვეხსომებათ, რომ ჩვენს საზოგადოებას ოდესღაც ამოურჩევია კამისია და მიუნდვია გამოარკვეოს რა სახის სკოლაა უფრო სჯირო ჩვენთვის: ის, რაც ეხლა არის, თუ სხვა გვარი რამ სკოლა. კამისიას უმუშავნია კარგა ხანს, ბევრი რამ საბუთი და ცნობა შეუკრებია, რაც ძალი და ღონე ჰქონია არ დაუზოგავს, საქმეში ჩაუხედნია, აუღია, დაუღია და ეს დაუსვენია: აწ არსებული სკოლა დარჩეს, როგორც დღეს არის და მის სისწორე სჯიროა გაიმართოს სამეურნეო სკოლა-ცხო.

მე იმის განხილვაში არ შევალ, მართალია ამაში კამისია, თუ არა. ასე, თუ ისე, — ეს მისი აზრია, მისი დასკვნაა და როგორც თვით სიმძიმე საქმისა ითხოვს, ისე უნდა გამოაჭიდებოდნენ კამისიისაგან დასკვნის აზრსა. რა თქმა უნდა, ამ საგანზე ბევრი პოც ითქმის და ბევრი არაც და არავის არ აეკრძალება თავისი სთქვას. ხოლო ქუთა-დამჯდარი, წინ-მოფიქრებული, წინ-დახედული, აზრ-იანი თქმა-კი უნდა და არა ბორ-

ქონი „კატეხიზმო“ არ გეგონათ, სხვა არის, წიგნს წინ მიუძღვის ვრცელი ეპისტოლე, იონასგან მიწერილი სოლომონ დოდაშვილთან 1827 წ. პეტერბურგს. ეს ეპისტოლე დიდად საინტერესოა სოლომონ დოდაშვილის ბიოგრაფიისათვის და იონა ბერის მიმართულების გასაცნობად.

სანატრელია, რომ ასეთ ქართულ ძველ წიგნების ბედს რამე ყურადღება მიექცეს და შეველა მოველინოს, რომ ხშირად იშვიათი წიგნები კერძო პირების ხელში არ გადადიოდეს გასაყიდ-საყიდლად.

* როგორც ვაზ. ნოვ. კობ. ეს შეუტყვია, გადაღებულ იქნება ფული შესაკეთებლად იმ გზებისა, რომლებიც ამ უკანასკნელ დროის წვიმებმა წახდინესო ტფილისის გუბერნიამო.

* ამვე გზების სიტყვი, გორის მაზრის სამხედრო ბეგრის უფროსი პოდპოლკოვნიკი შუბერსკი უფრო დიდ ადგილზე გადაუყვანიათ ვარშაგის სამხედრო ოლქში.

* გუშინ ტფილისის სახელოსნო მმართველობაში ხელოსანთა საერთო კრება იყო, რომელსაც გარდასახადთ ინსპექტორმა ბ მმა ყოვლანოვმა გამოუცხადა, რომ სასურველია, ტფილისის ხელოსანთა იქონიონ მოხუც და ღარიბ ხელოსანთათვის და მათ ქვრივ ობლებისათვის თავშესაფარი, როგორც პეტერბურგის ხელოსანთა აქეთო. ხელოსანთა კრებას ფრიად მოეწონა ეს აზრი და დაადგინეს ჯერ უსტაბაშეში მოაგროვონ ფული თავშესაფარის გასამართად და შემდეგ ყველა ამქარში სამი. გარდა ყოველ წლივ ყველა ამქარმა და სახელოსნო მმართველობამ გადაიხადოს ხარჯი ამ თავ-შესაფარის გასამართად. ჯარიმა, რომელსაც ხელოსანები იხდიან სხვა-და სხვა დანაშაულობისა გამო, ამავე თავ-შესაფარის სასარგებლოდ აქციონ და არა ნადედილის თავ-შესაფარის სასარგებლოდ, როგორც ეს წინაა.

შემდეგ ხელოსანთა ამოიჩინეს კომისია, რომელიც შესდგება შემდეგთაგან გარდასახადთა. ინსპექტორი ი. მ. ყორ-

ინდება. ცუდად ჯგომას ხომ ცუდად შრომა სჯობია. ამინ და კირილეისონ. მორჩა და გათავდა. ჩვენ სხვას აღარას ვიტყვი იმაზე თუ, — რამდენად ზედ-მიწევნილი პასუხია ეს განაჩენი იმისი, რაც ჩვენთვის საჭიროა დღეს. დავდგით ტახტი და ზედ წამავსკუპით მკვდრები, ბერძნული და ლათინური დრო გამოაჩენს, ვაი ეკუთვნის გამაჯგებულთა, თუ ვა-

ბოლოს ჩამოვარდა ლაპარაკი, საჭიროა თუ არა აწ არსებული სკოლა ციხის და ამასთან ერთად სამეურნეო სკოლა. აი აქ გატყდა ტახტი. აქ გამოეშვა სიცრუე სიბრძნის უღლიდამა. ეხლანდელმა სიბრძნის სიცრუემ აქ შემოიყარა თავმოსაწონებელი დონჯი. თ. მ. მაჩაბელი — ეს ყველასგან ცნობილი მეთაფეთ. ი. მაჩაბლის მეციხოვნეთა, ეს წყნარი და ტყბილი მოუბარი ყოველ აზრ-უბრძინა და გადასკუბისა — წამო-დგა... განა ერთხელ და ორჯერ? მე თქვენსებრ დათვალე. ბევრი ილაპარაკა, როგორც მოგესტენებთ იმისი ამავე და იქამდე წაიტყუა თავისის საკუთარის სიტყვის ლაზათმა, რომ კინაღამ დაგვაჯერა, ვითომ ჩვენში

ღარიბი, ხელოსანთა თავი ტ. დ. ნაუმენკო, უსტაბაშე: მ. მ. რაფაელოვი, ს. გ. ქავალოვი, კ. ს. სერაოზიანი და ი. ი. მხეიძე, რომელთაც ხელოსანთა მიანდეს თავ-შესაფარის წესდების პროექტის შედგენა და თვით ამ საქმის განხორციელება.

* ოქრომჭიდლების ამქარმა 26 იანვარს უსტაბაშად ამოიჩინა სიმონ არჯენინი, ახანაგებდ შაქროპაოვი და ვანო მირიმიანოვი. ამქარის ხმოსნად შაქარ არჯენინი და გიორგი ილურიძე.

* საქართველოს სამხედრო გზიდან იუწყებიან დეპეშით, რომ 25-ს იანვარს ფოსტა გადაიტანეს ზეგებზე, მგზავრებიც ბევრი ფხვით გადავიდნენ სადგურ გულაურ-კობსა დაყაზბეგს შუა, მაგრამ 26-ს იანვარს კიდევ ბუქი ასდგა და გზა შეიკრა. ახლად ჩამოწოლილა ზეგებია.

* გომსა და ხაშურს შუა დიდის თოვლის გამო გზა შეიკრა. მატარებლები აღარც ხაშურამდის წასულან არც 25 არც 26 იანვარს. გუშინ, 26 იანვარს მ საათზედ საქონლის მატარებელს მოაბეს ერთი სახალხო ვაგონი და იმითი წაყუანეს გორამდის წამსვლელი მგზავრები.

* რიონი: ფოთისკენ, ბათუმისკენ ყვირილამდის გზა გაწმენდილა. მატარებლების მიმოსვლა გაიხსნა. ყვირილას აქეთ გზა არ არის ხაშურამდის.

* ხაშური: იმედი, ჰქონდათ, რომ ოცდა ექვსს გზა გაიწმენდებოდა, მაგრამ ოცდა ხუთს ღამით ისევ დიდი თოვლი დასდო ხაშურსა და მარეღისს შუა და ყვირილისკენ დილის 8 საათზედ, 26 იანვარს, საშინელი ბუქი და ქარი ასტყდა და ისევ წახდინა გზა. ახლა არ იციან ჯერ-ჯერობით როდის იქნება გზა.

ქ მ რ ი ა ს კ მ დ ე ნ ც ი ა .

მშთაინი. 20 იანვარს. თოთხმეტ იანვარს ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში კიდევ გაიმართა ამ სასწავლო წლის განმავლობაში მეორე მუსიკალურ ლატერატურული დღი. სანამ დღია დიწყობოდა ინსპექტორმა ბ. ზგურსკიმ წაიკითხა საკმაოდ

საკმაოდ გაბრძნობილი არიან სამეურნეო ცოდნითა და სწავლითა. სხვა რამ სთქვით, თორემ სამეურნეო ცოდნა ჩვენში საკმაოა. წარმოიდგინეთ სიცილიც არავის მოსვლია, რომ ამ ბრძენთა უბრძენებმა ორატორმა ასე ადვილად ამოაჩინა ჩვენში ეს უცნაური ამერიკა.

საკვირველი კაცი ბრძანდება ეს თ. მ. მაჩაბელი. შეგდება ხოლმე მეტყველების ჯაგლაგს მერანზე, დაეშვება თავთავე და, როცა სძაძუ შემოაწყდება, ყირამალა გადადის, თავი ცალკე მიგორას იქით, ენა ცალკე ლაყობს აქეთ, თავს ენა ვეღარ უბოგნია და ენას თავი. მე როცა თ. მ. მაჩაბელს ვხედავ მოლაპარაკეს, მამლა-ყინწა მაგონდება. თ. მ. მაჩაბელიც ისე დახუტავს ხოლმე თავლებს და ჰყვის უპრაგონოდ, თითქო არ უნდა დანიახოს რა არის მოსარიდებელი და რა გვერდ-ასაქცივი. იმისთვის სულ ერთია, მართალი და ტყუილი, შესაძლებელი და შეუძლებელი, ოღონდ ნუ დაუშლით-კი, ქვეყნის დასასრულამდე გააბაშს და აღარ გაათავებს. ენა რომ გასატეხი იყოს, აქამდე ათს ლავას გადაუტყდებოდა. არც გასაცვთია ეს ოჯახ დაქციუ-

ვრცელი მოხსენება სასწავლებლის მდგომარეობაზე წასული წლის განმავლობაში. სამწუხაროდ ჩვენ ხელთ არა გვაქვს ის მოხსენება, რომ ზოგიერთი საინტერესო ცნობები გავუზიარებინა მკითხველთათვის. საზოგადოება აქტის კითხვაზე შედარებით წინანდელ დილასთან ნაკლებად დაესწრო; თვითონ დილასაც არა ჰქონდა ის სიცოცხლე და მიმზიდველობა, როგორც წინა დილას ეტყობოდა.

დილა როიალზე დაკრით დაიწყო. როიალზე თამამად უკრავდნენ აბელუშელიშვილის ქალების გარდა ორი სხვა ქალიც, მგელაძის ასულნი: ნატალია და ნინო; რამდენიმე რუსული ლექსიც წაიკითხეს ხოროთი და ცალკე-ცალკეც. ერთი ლექსი ფრანგულადაც წაიკითხეს ხოროთი; საწყალს ქართულს ენასაც ერგო ერთი ლექსი! ისევ თოფურძის ქალმა წაიკითხა ქართულად აკაკის ლექსი „ვახტანგის“, რომელიც ისე გადასხვავებული და შემოკლებული გვეჩვენა, რომ ვერც-კი მიგვხდით, თუ იგი აკაკის ლექსი იყო. გვიკვირს, რად ექცევა სასწავლებლის მმართველობა ასე ნაკლებს ყურადღებით ქართულ ენას? ნუ თუ იქ, სადაც თითქმის სამი მეოთხედი მოსწავლეების რიცხვისა შესდგება ქართველ ქალებისაგან, ერთი ლექსის მეტი არ უნდა წაიკითხულიყო? ნუ თუ მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის და გარეშე პირთათვისაც ქართული ლექსების კითხვა ისე სასიამოვნო არ იქნებოდა, როგორც რუსულის ლექსებისა! ან, იქნება, თოფურძის ქალის გარდა სხვა მოსწავლე ქალებს არ შეუძლიანთ და ან არ მოინდომეს ქართული ლექსების წაკითხვა? ან კიდევ იქნება მასწავლებლებს ამა სასწავლებლისას ჰგონიათ, რომ ქართულს ენაზე არ მოიპოვება ისეთი ლექსები, რომელთა წაკითხვამ მსმენელნი ასიამოვნოს და დაატკოს? შეიძლება ქართული ენის სწავლებას აქ ისეთსავე ყურადღებას აქცევდნენ, როგორც ფრანგული ენის სწავლებას. თუ ეს ასეა, უნდა ვფიქრობოთ, რომ ქართული ლი-

ლი, თორემ ეს მინც გვექნებოდა ნუგეშად. ამ თვალთა ხუტუაშია მიზეზი იმისი, რომ ხშირად თ. მ. მაჩაბელი თავის ნათქვამს გადასთქვამს ხოლმე, მე ვგ არ მითქვამსო. მართალიც არის: თვითონ ყურს რომ არ უგდებს თავის ლაპარაკს საიდამ დაახლოდება რა სთქვა და რა არა. თ. მ. მაჩაბელმა ის არ გვაქმარა, რომ ჩვენ სამეურნეო სწავლა-ცოდნით საკმაოდ სავსენი ვართ. თავ-მოწონებით, როგორც მოგესტენებთ ამერმე და მერმე მისი კეთილი ამბავი, წამოარახუნა: საჭიროა თუ არა ჩვენთვის სამეურნეო სკოლა, მე ამაზე ვერას ვიტყვი, რადგანაც ეს საგანი ჯერ ნათლად არ გამოვლითვალწინა, ჯერ ნათლად ვერ გამო-მირკვევია და ამიტომ გთხოვთ ამაზე საუბარი შემდეგისათვის გადასდოთო. როგორ? უმაღლესს სამეურნეო სასწავლებელში ნამყოფი კაცი გვეუბნება, საჭიროა თუ არა სამეურნეო სკოლა ჯერ ვერ გამოვიგიაო. მაშ რა-ლად მირბოდა სამეურნეო სკოლაში, მერე უმაღლესში, თუ გაგებული არა ჰქონდა სამეურნეო სწავლა-ცოდნის საჭიროება? მაშ როდის-ღა გაიგებს

ტერატურაც და ისტორიაც ისეთის სიმტკიცით და შეგნებით ეცოდინებათ, როგორც იციან ფრანგული ენა, ე. ი. ...

ჩვენ-კი ფიქრობთ, რომ ქართული ენა მეტის ყურადღების ღირსია ხსენებულს სასწავლებელში. ჩვენ მრავალი მაგალითი გვაქვს თვალწინ იმისი, რომ უცხო ენის საფუძვლიანად შესწავლა მხოლოდ იმას მოუხერხებია, ვისაც თავისი დედაენა შეუსწავლია. ეს ისეთი მარტივი და ცხადი კემარტება არის, რომ ამის წინააღმდეგი არც ერთი გონიერი პედაგოგი და მეცნიერი არა ყოფილი დასაბამიდა.

თავდაზნაურობა საკმაო ფულს აძლევს ამ სასწავლებელს ქართული ენის რიგინად სწავლებისათვის და სამართალი მოითხოვს, რომ ქართულს ენას აქ თანასწორი უფლება ჰქონდეს რუსულს ენასთან.

ამ უკანასკნელ დროს აქაური ქალები, ცოტა არ იყოს, დაფატურდნენ: ამ მოკლე ხანში სახალხო ბიბლიოთეკის გახსნა გადაწყვიტეს. ცდილობენ, რომ ბიბლიოთეკა დაექვემდებაროს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა. ამ საგანზე მიწერ-მოწერაც გაუმართავთ, საცარიგია. ფული წიგნების სასყიდლად, როგორც წინადაც იყო თქვენს გაზეთში მოხსენებული, კარგა ხანია რაც შეგაროვეს. ეხლა სახლის ქირისა და მოწყობილობისათვის ზრუნავენ.

ერთს ქალს კიდევ მიუცია სხვებისთვის სიტყვა, რომ იგი ყოველთვე იშვიათი ამ საგნისთვის ათ მანეთს, სხვებაც ასე მოიქცნენ, — ზოგი სამ მანეთს დაპირებულია, ზოგი მეტს და ამ გვარად სამკითხველოს ბედის ჩარხი წაღმა დატრიალებულა. ვისურვებთ სულით და გულით, რომ აქაური ქალებს ენერგია და საზოგადო საქმის სივარული არ შესუსტებოდეთ ამ წმინდა და სასარგებლო ასპარეზზე: შენ — ჩემობა და პირველობის სურვილი უკან დაწეულიყოს და კეთილი საქმის ბეჯითად და განიერულად წაყვანა წინ წამომდგარიყოს.

მეორე სასიამოვნო ამბავი კიდევ ის არის, რომ აქაურ პოლკის უფროსის მეუღლეს პატივცემულს ქან პოლკონიკოვისს ნება-რთვა აუღია სახალხო კითხვების გასამართავად ქართულსა და რუსულს ენაზე. სწორეთ მადლობის ღირსია ქალბ. პოლკონიკოვისს ამ საუცხოო საქმის დაწყებისათვის. იმედი, აქაური ნასწავლი ახალგაზდები და გულ-შემატკივრები დახმარებას აღომუხენენ ამ სასარგებლო საქმეში, თორემ მარტო ერთი ადამიანი ბევრს ვერაფერს გააწეობს. საჭიროა ამ საქმეში ყველა წოდების და ცოდნის პირმა გონება და ხელი გაანძვიროს. აქ უკან დაწევა მეტის მეტი სირცხვილი და ცოდო იქნება ექიმისათვისაც, ადვოკატისათვისაც, მასწავლებლისათვისაც და სხ.

ნასწავლი სულ თავისკენ რომ ვითლით, ერთხელ უსწავლეღისათვისაც მოვთალოთ!

ეს ოთხი დღეა რაც აქ თოვლი განუწყვეტლივ მოდის და მოდის. სიმაღლე თოვლისა თითქმის არშინ ნახევარზე ავიდა. გადაღება ჯერ მაინც არ ეტყობა. ფეტონები სრულებით ვეღარ მუშაობენ და მარხილებსაც ძალიან უჭირდებათ.

ზიარელი.

გ ა მ კ რ ი თ . II

(ორი პიესა ი. გულისაშვილისა.)

საკვირველია, ღმერთმანი, ქართველი კაცის საქმე! საყვედურს ბრძანებს თურმე *) ბ. ი. გულისაშვილი ორო-ლი დრამა დაეწერე, ჩემი ხარჯით დაგებქდე, ერთი ღარიბი კაცი ვარო-და ქართულ დრამატიულ საზოგადოებას არამც თუ ჯერ არ უთა მანია ჩემი პიესები, მაგონი ჯერ არც-კი წაუკითხავსო. ი. გულისაშვილის დრამები?.. დიად, მართალია! თუმცა სიზმარით ბუნდალ მაგონდება, მაგრამ მაგონდება კი: ჩემს წიგნებში გდია — მოწიწებითი ზედ-წარწერით —

*) ეს წერილი ერთი დღით ადრე მოგვივიდა, ვიდრე ბ. გულისაშვილის „ლია წერილი“ დაიბეჭდებოდა.

რი, თუ თ. მ. მაჩაბელს აცყვივით და რაც იმას არ ეხმის, იმ საქმეს ხელი აღარ მოგვიდეთ და იმას ვუცადეთ! აბა ბევრს საქმეს მაშინ გაგარიგებთ აი, თუ თქვენც იტყვი!.. მაშ დილუბა საქართველო რაღა, რომ თუ თ. მ. მაჩაბელს არ გავებება, სხვამ უმისოდ ისაქმა რამე! აი გასიგება, გაბერვა თავისის თავის მნიშვნელობისა ამასა ჰქვიან.

საწყალო საქართველოვ, კიი შენს მტერს დაეყაროს, რაც შენ დაგეურება, თუ საქმე ისე გაიხსნა, რომ თ. მ. მაჩაბლის გაგებას უცადო და ელოდინო. ბევრი წყალი ჩაივლის მინამდე. წყალს ჯანი გავარდეს, იეფოა. შენ იმისთანა საქმე მაჩვენე, რომ ცლა და ლოდინი არ მოკვინდეს თ. მ. მაჩაბლის წყალობითა... წარმოიდგინეთ, ამ სასაცილო და ამასთან კრების ღირსებისათვის საწყენო თხოვნამ თ. მ. მაჩაბლისამ იქამდე მიადღია, რომ კენჭი ჩამოატარეს: ვუცადოთ, თუ არ ვუცადოთ ამ ვაე-ბატონის გაგებასაო. სასაცილო და ამასთან საწყენი არ არის ამისთანა ენისათვის კრების მოცდენა! კიდევ კარგია მობეზრებულმა კრებამ აინუნწია არ გაიტარა თ. მ. მაჩა-

ავტორისაგანაო. ის უნდა იყოს!...

არა, როგორ მოგწონთ საყვედურ-რი, პა? იქნება ეგონა გამგებობის წევრთ მოწიწებით მივლდნენ ჩემს პიესებს, წაიკითხებენ... და ითამაშებენო... იქნება ჰკონია პიესებს ჩვენ ვთამაშობდეთ? პიესებს, ბატონო, არტისტი თამაშობენ! საყვედურის გამოცხადებას ის არა სჯობდა, მისულყო, არტისტი ენახა ვინმე, გავცნო, დამეგობრებოდა, მის ნიჭს ქება მოეფინა მთელი ქვეყნისთვის და ყველა სხვა იმავე ამბობდა... თამაშენი ლაფში ამოველო, ამ გვარ ბუნდურებით და პაპიროზებით მის გული მოეგო და მერმე იმავე მოწიწებით მიემართა: ერთი პატარა პიესა დავწერე, ისე სცენები... უსაქმური კაცი ხომ მოგესხებოდა, ვცუღლუ-ტობდი რაღა... მინდა მცოდნე პირს ვაჩვენო ვისმე... აქეთ-იქით ბევრი მირჩიეს, ჩვენს ლიტერატორებს წაუკითხეო, მაგრამ... იქნება თქვენც დამეთანხმობთ—რა იციან ჩვენმა ლიტერატორებმა დრამატული ხელოვნებისა? დრამის დაფასება მხოლოდ არტისტს შეუძლიან, არტისტს თქვენებრი კითხვი ნიჭით აღსავსეს, არტისტს რომლის ნიჭი დედა-ბოძია სამშობლო სცენისა... ვიცი გაწუხებთ, ვიცი ჩემ ნაჯღანში სულ არაფერი იქნება საიმისო, მაგრამ... საღამოს ერთად გადატარებთ... ისეთი ბურ-ვაკი ჩამომივიდა დღეს სოფლიდან, რომ თითებს დაგაკნეტინებთ!.. ბ. გულისაშვილი-კი გამგებობას უსაყვედურებს რატომ ჩემს პიესებს არა თამაშობთ?! რა ვქნა, ბატონო, ვიცი ჩემგან დარჩება არ გვეადრებით, მაგრამ რა გაეწყობა. სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდება, დედა-ენაში სწერია.

ჰოდა მიიწვიეთ, ბატონო, არტისტი კარგი მწვადები დაახვედრეთ, კარგი ნუნუა! პიესა სჯობს არ წაუკითხოთ, თუ გინდათ რომ მოიწონოს. თუ მინდა და მინდა არ დაიშლით და პიესასაც წაუკითხავთ, იცოდეთ ვახშამს ჩააშახებთ!.. ვი თქვენი ბრალი, თუ თქვენს მსახულ-

ბელს გაეგება რამე თუ არა. ეგ მისი საქმეა და არა ჩვენიო, უმისოდაც ჩვენ იოლად წავალთო. ნურას უკაცრაოდო, უთხრა კრებამ კენჭითა. აკი ვამბობთ, რომ კიდევ დღის წყალობაა, რომ კრებამ ამისთანა პასუხი უთხრა, თორემ ლოდინი მეორედ მოსვლამდე მოგინდებოდა, რადგანაც, როგორც ვიცა, თ. მ. მაჩაბელი გაგებაზე პატარა მწყარად და უმზარად ბრძანდება, თუმცა არც ერთს შემთხვევას არ გაუშვებს, რომ არ გვიტხრას მისებურის თავმოწონებით და გულში ხელის (ყე-მითა: რაცა ვარ, მე ვარო!

ვთქვათ, დაუჯერებელი არა არის-რა, რომ თ. მ. მაჩაბელს სამეურნოე სკოლის საქორებობისა არა გაეგება-რა. კაცია და გუნება. ზოგი იმისთანაც არის, რომ თავისს დღეში არა გაეგება-რა არსაფერში. ეს ერთი როგორ არ შეენდობა ჩვენს საყვარელს თ. მ. მაჩაბელს. მხოლოდ ღმერთსა ვთხოვთ, რომ ეს ერთი იყოს და სხვა ბევრი არა. ღვთით ასეც არის, თუ ვინმე კარგად იცნობს თ. მ. მაჩაბელს, სხვა ყველაფერი კეცავით დაუღუპოა, ყველაფერი იცის, სხვა ყველაფერში დიდი

არტისტს უმთავრესი როლი არა აქვს! ისევ ის გირჩენიათ ნურც-კი წაუკითხავთ! ის გირჩენიათ—ვახშამი აქამოთ და მშვიდობიანად გაისტუმროთ, თორემ ცოცხლოვ ჩაგაქვავებთ! ვინ ასწერს ვინ გამოხატავს იმ არტისტულ მსჯელობას, იმ არტისტულ ლოლიკით სავსე კრიტიკას, რომლითაც იგი პარველ სცენებზე—ბოლომდის მოსმენა რა საჭიროა?— დიწუნებს თქვენს პიესას თუ უმთავრესი როლი არა აქვს! მაგრამ ესეც არა კმარა. პიესა მხოლოდ იმისთვის უნდა იყოს დაწერილი, რომ ბატონს თქვენს მსახულს თავის ნიჭის გამოჩენა შეეძლოს, ყოველ მხრივ, სავსებით. პიესა მხოლოდ იმისთვის უნდა იყოს დაწერილი, რომ ბატონს თქვენს მსახულს ყოველ გამოსვლაზედ მთელი თეატრი ტაშს უკრავდეს და ერთ ხმივ ვაშს შესძახოდეს. პიესა მხოლოდ იმისთვის უნდა იყოს დაწერილი, რომ ბატონი თქვენი მსახული მარტოდ-მარტო ანათებდეს და აკაშაშებდეს მთელს სცენას და სხვანი-კი, სულ ყველა სხვანი მარტო ეხმარებოდნენ მას, მის ჩრდილ ქვეშ მიდილობდნენ, რომ უფრო ბრწყინვალე იყოს მისი ელვარება. საჭიროა როლი მის მეტს სხვას არავის ჰქონდეს... დარწმუნებული ვარ, თქვენ ეს არ იცოდით, ბატონო ჩემო! თუნდა დაგენადვებოთ, თორემ რომ გცოდნოდით, თქვენც როლს დასწერდით და არა პიესას!

თქვენ, რასაკვირველია, აზრს გამოუდგებოდით, იდეის თქვენს პიესებში. მიზნად გქვებოდით თქვენის პიესებით საზოგადოებას ასწავლოთ რამე, ახალი, სასარგებლო შესძინოთ რამე, ან ძველზედ, ავზედ მიუთითოთ და თვალს აუხილოთ. თქვენ, ბატონო, რაღაცა აზრებს ემსახურებთ და ჩვენ-კი გვისაყვედურებთ, რატომ ჩემს პიესებს არა თამაშობთ? o simplicitas! o sancta, sanctissima simplicitas! ჩვენ, ბატონო, როლს ვთამაშობთ და არა პიესას. რის აზრი?! რა აზრი?!

თუ არა და საცა როლია, იქ უთუოდ აზრიც იქნება. განა გულისოსტატია. თუნდა თითონა ჰკითხეთ, თუ ჩვენი არა გჯერათ. ის გულახდილი კაცია, არაფერს დაგიმალავთ. ცოტა ამისთანაებში მორცხვია, როგორც მოგესხენებოთ იმისი ამბავი. მაგრამ არა უშავს-რა, მინც გამოგიტყულებთ. იქნება ცოტაც წაუმართოს რამე, ნურც ამისი შეგეშინდებოთ. ყველაფერი ზენ-ჩვეულების საქმეა.

ერთის სიტყვით, ნუ ვაწყენინებთ თ. მ. მაჩაბელს და დავუჯეროთ, რომ მართლა არა გაეგება-რა სამეურნოე სკოლის საქორებობისა. ეს-კი—უკაცრად ვიყენეთ—დასაჯერებელი არ არის,—კაცს უმადლესი სასწავლებელი გამოველოს და იქამდე გულისყურ დაბნეული იყოს, რომ ვერ გაეგოს სამეურნოე სწავლა ცოდნა საჭიროა თუ არა იმისთანა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლის ავლა-დიდება სოფლის მეურნოებაა. ეხლა ვიკითხოთ: როდის იყო მართალი თ. მ. მაჩაბელი? მაშინ, როცა უმადლესს სამეურნოე სასწავლებელში ეწაფებოდა სიბრძნეს, თუ ეხლა, როცა ამ სიბრძნეზე ასე აშკარად ჰაშა ჰკრა. ორში ერთი: ან სასწავლებელში ვერა ვახდა-რა

თქმაში* აზრი არ არის? ჰაი-ჰაი რომ არის, თორემ უაზრო ხომ არ არის ჩვენი საზოგადოება, რომ ასეთი აღტაცებით მიიღოს უაზრო პიესა. თქვენ პიესას-კი ნუ სწერო, როლი დასწერეთ, და, გარწმუნებთ, ითამაშებენ. ოლონდ როლი-კი იყოს, როლი, რომ სულ კანკალმა აიტანოს საზოგადოება და თუნდა ტაკი-მასხარად გამოიყვანოთ ჩვენი უმაღლესი წოდება, მაინც ითამაშებენ და კიდევ მოიწონებენ. საქმე როლია! თქვენ-კი მოპყობიხართ და პიესებსა სწერო!

ისიც ვინა? უკაცრად-კი გახლაავართ და ვიღაც ი. გულისაშვილი. რაღაცა დაუწერია—ითამაშეთო! მოდი შენა და ითამაშე, ესე რგი წაიკითხე, შეისწავლე, კრიტიკულად განსაჯე და დაადგინე—ვარგა, თუ არ ვარგა! ადვილი-კი ნუ გგონიათ! არა, დალოცვილო, რაღაც პიესების ჯღაბნას, ის არა სჯობდა აგედოთ და რუსულ პიესაში ქართული გვარება ჩაეწერათ, ვინმე პროზორის მაგივრად უშტენიანე მაგ. და ისე გეთარგმნათ. სულ სხვა იქნებოდა: თქვენს თხზულებასაც ვითამაშებდით და ჩვენც საქმე შეგვიმსუშუქდებოდა, ძალიან შეგვიმსუშუქდებოდა! რომ მოსულიყავით და ყურში გეთქვათ ვისთვისმე—ჩემი ორიგინალური დრამა „დრონი მეფობენ“ ჩემი-კი არა, მერეეკოვსკისა არისო, სულ სხვა იქნებოდა! ან არა და უფრო უკეთესი იქნებოდა ველოჩკო დაგესახლებინათ. მერეეკოვსკის ვინ არ იცნობს? დიდად გამოჩენილი მწერალია, ფრიად გამოჩენილი მწერალი... ბევრსა სწერს... არა წამიკითხავს რა, მაგრამ ვიცი რომ რუსულ საუკეთესო ჟურნალებში იბეჭდებოდა... მაშასადამე კარგი უნდა იყოს, აბა რაღა წაიკითხვა დასკორდებოდა, ავიღებდით და სათამაშოდ დავნიშნავდით. ახლა-კი, აბა რა ვქნათ? ი. გულისაშვილის მერე ვინ არის გულისაშვილი?! რა დაუწერია?! ამას დაფასება უნდა და ჩვენ-კი მარტო ისა გვწამს, რაც უკვე დაფასებულია სხვათაგან.

პიესა რომ მთელი ქვეყნის თეატრ-შიც-კი ეს არ დაენახოს, რას უნდა მიეწეროს,—გულის-ყურის დაბნეულობას, გონების დაბნეულობას, უილაჯობას, თუ თვითონ სწავლა-ცოდნის ამოგებას?

მეტყვიან, მტრობით მოგდის ეს, თორემ როგორ შეეწამება თ. მ. მაჩაბელს უფლის ყურობა, კუთის უილაჯობა, გონება-დაბნეულობა. რატომ არა გჯერაო, რომ სამეურნოე სწავლა-ცოდნა იწვინა სავსებით, მხოლოდ დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს ფუჭია და უქმია? იქნება ასეც იყოს, არ გაგიჭირვებულდებით. რომ არაფერში გამოსადეგია ეგ სწავლა-ცოდნა, თვითონ თ. მ. მაჩაბელზედაც აშკარად ვხედავთ. რით არის ამისთანა საქმეში სხვაზე უწინ? რომელი ხოდაბუნები მოხნა-მოთესა? რომელი მინდორი აქცია ვენახით? სად უჭრავს გუთანი? მარტო რაღაც პორტფელი ამოუჩრია ილითაში და დადის, ვითომ მეც ნახარ-ნახირო. განა ცხადი არ არის, რომ მისთვის სამეურნოე სწავლა-ცოდნა ფუჭია და ამაო!..

ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ მაშა-ტოის თ. მ. მაჩაბელმა, ისეც სწავლა-ცოდნის პატივი ვირჩიე და ამ

რებს შემოივლის და ყველგან ხალხს მიიზიდავს, ცხადია კარგი ყოფილა. თუნდა Madame sans geue აღეთ. მგონი ზულუსების თეატრშიც-კი ითამაშეს, თუ-კი აქვთ თეატრი. ამისთანა პიესას აღარც გასინჯვა უნდა, აღარც წაიკითხვა და დაფასება. იმას თავის პატენტი ზედ აკრავს. ყველგან წარმოადგინეს, მაშასადამე ჩვენც უნდა წარმოადგინოთ. ჩვენ რაღა ვართ?! ჩვენ რომ შესწავლას გამოვდგომოდით—რამდენად შეეფერება ჩვენს ცხოვრებასაო, აზრი აქვს რამე, თუ არაო? რას გვასწავებს, რას შეგვძენს ან რაზედ ვხარჯავთ ამოდენა ფულს, დროს და შრომასაო?.. ერიპა!.. ეგ, ბატონო, თქვენ შეგეფერებათ ხელოვნების უფიცს, უცნობს მომაცდავს, ჩვენ-კი... ჩვენ წინაშე დიდებული სარდუ ბრძანდება, ჩვენი ერისთვის „სამშობლოს“ ავტორი სარდუ და მაშასადამე ავიც რომ იყოს, მაინც კარგიაო. გულისაშვილი და სარდუ! ქედი მოიხარეთ, ბატონო, მუხლი მოიდრიკეთ და ისე ახსენეთ Madame sans geue ის ავტორი. ღმერთი არ გაგიწყრეთ, არსად წამოგვდეთ. შიგ არაფერი ყრიაო, თორემ ჩაგაქვავებენ!

ბ. — შევიღისა არ იყოს! ვოდენ-ვილი დაუწერია, ნამდვილი კალენდოსკოპია ჩვენის ცხოვრებისა. თითო ცოცხალი სურათებია, ისე იძვრიან თქვენს თვალ-წინ თქვენი ნაცნობი გადაყრებულნი კენჭები, ალაგის მაძიებელი ღედები თავიანთ შვილებისათვის, საქმროებზე მონადირე ქალები—ეგება გავაბათ ვინმეო, და რაღაც აზრებით გატაცებულნი ქართველი ლიტერატორი—ყველასაგან ათვალწუნებული და შეძულებული. მართლა და ხელოვნურად დახატული სურათებია, მაგრამ როლი არავისა აქვს, არავის, სრულიად არავის. როგორ უნდა წარმოადგინოთ?! არა, ის არა სჯობდა ბატონს—შვილს ერთი კარგი ვოდენილი ეთარგმნა რამე რუსულიდან, აი თუნდა „Шельменко деньщикъ“. ძან-ძან ვოდენილია თურმე. „მე არ წამიკითხავს, არც მინახავს,

ლილოელი ფილოსოფოსის გულის-ყური გაეწირე. ხუმრობაა, გავკადნიერებულ ვიყავ და ერთობ სწავლა-ცოდნისათვის, თუნდ სამეურნოეც იყოს, უბატურად წიხლი მეკრა, ფუჭი ხარ და ამაო მეთქი. მაშინ რას მეტყუდა ჩვენი ავყია „გზა-კვალი“, თუ ბუზან-კალი... არა ისეც სჯობია ყველა ეს თ. მ. მაჩაბლის გულის ყურს და ჰბრალდეს, ვიდრე სწავლა-ცოდნის ამოგებას. ამას მე მგონია თვით თ. მ. მაჩაბელიც მომიწონებს. იგი ყოველთვის მზად არის ქეშმა ჩიტებისათვის თავი დასდოს, მაგრამ ისე-კი, რომ ენა შერჩეს სალაპარაკოდ. ამას-კი, სწორედ მოგახსენოთ, არავის დაუთმობს. ძნელიც არის. შეჩვიული კირია და შეუჩვევარს ლხინს ურჩენია.

ეხლა ვიკითხოთ: თ. მ. მაჩაბლის მიერ თქმულია, რომ აქამდე ვერ გამიგია საჭიროა თუ არა ჩვენთვის სამეურნოე სკოლა და მომიცადეთ, ვიდრე გავიგებდეთ, უმადლესის სასწავლებლის სიბრძნეს მივაწეროთ, თუ უმცირესის აღამიანის სიკრუესს? პასუხი ცხადია. ამიტომ ვამბობთ, რომ ეხლანდელი სიბრძნე სიკრუე სულ სხვაა. მშვიდობით მესამე ლექციამდე.

არ მახსოვს ვისია, მაგრამ რუსულ აფიშებზედ ხშირად შემხვედრია „და მაშასადამე კარგი უნდა იყოს. აბა ახლა გაუბედეთ ბ-ნს და—შვილს და სთხოვეთ „Шельменко“ სთარგ-მენო! პირად შეუტარცხყოფად მიიღებს. არა, ბატონო, ე მაგრე, როგორც თქვენ ირჯებით, ქართული თეატრის საქმე წინ ვერ წავა! საქმეს გაუბრძახოთ, რაღასაც დაჯღაბნით, მოიტანთ და ითამაშეთო!

ახირებულნი პრეტენზიაა, თქვენმა მზემ.

უცხოეთი

საფრანგეთი. „ფიგარო“ იუწყება, ვითომ ბურჟუა-კავენიაკის სამინისტროში უთანხმოება ჰსუფევდეს. კაბინეტი ორ მოწინააღმდეგე დასად გაიყო და ერთმანეთს ჰპტრობენ: ერთს მხარეზე ბურჟუა-დუმეა, ხოლო მეორეზე კავენიაკი, რიკარი, გუიო და დესსენი. გაზეთის სიტყვით ბურჟუა და დუმე იმ აზრისანი არიან, რომ საფრანგეთმა ინგლისთანა და იტალიისთან მქადრო კავშირი იქონიოს. „ამბობენო,—სწერს იგივე გაზეთი,—რომ ჩვენს პირველს მინისტრს რომში ყოფნისას ამ ბოლო დროს მეფე ჰუმბერტოს პირველი მინისტრი ენახულოს. ამიანვე აიხსნება უკანასკნელი ხელშეკრულობა დიდ ბრიტანისთანაო“. როგორც ხანს, ბურჟუა ეგვიტებს სრულიად ივიწყებს, ხოლო ბ-ნმა ბერტელომ ისაც-კი არ იცოდა, თუ ეგვიტე არსებობდაო, ამბობს გაზეთი. პირ იქით კავენიაკი-კი ერთგული და თავგამოდებული მომხრეა რუს-საფრანგეთის კავშირის იდეისაო.

გაზეთებში კვლავ გამოილაშქრეს საფრანგეთის პრეზიდენტის ფორის წინააღმდეგ. ახალი გამოლაშქრება გამოიწვია შემდეგმა ამბავმა. ამას წინად პარლამენტს სჯა ჰკონდა ინდოეთ-ჩინეთის სესხის შესახებ. ზოგიერთმა ორატორმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ხსენებული სესხი იმეტომ დაგვიკრდაო, რომ ადგილობრივი

ჯიბრიელ.

მმართველობა არ ასრულებდა რიგი-ანად მოვალეობას, რომ კოლონიის გენერალ-გუბერნატორი ლანესანი არ იცავდა საფრანგეთის ინტერესსა და სხვა. ამგვარმა სჯამ გამოიწვია ერთი ინდოეთ ჩინეთის ბანკის მოხელეს აღფრედ ედვარდის გაჩრეკვა. გაზეთების სიტყვით, გაჩრეკამ აღმოაჩინა წერილები, რომელნიც აბტიკებენ, რომ ფელიქს ფორს მიწერა-მოწერა ჰქონდა სხენებულ ედვარდსთან, ამჟღავნებდა მას ბანკის პრივილეგიები და ცულ იქმნებინაო და სხვა. გაზეთები ამბობენ, რომ გამოძიებელს ედვარდის დატუსაღება უნდოდაო, მაგრამ ედვარდსმა გამოაცხადა, როგორც დამატუსაღებთ, მაშინვე ეს წერილები გაზეთებში დაიბეჭდებინაო და გამოძიებელმა ვეღარ გაძვედა დატუსაღებაო.

ინგლისი. ინგლისური გაზეთები უეცრად აღაპრაკდნენ ჩინეთისა და იაპონიის წყლებზე ბრიტანის ესკადრის გაძლიერების შესახებ. ჩვენი ესკადრა იქა, ამპობენ გაზეთები, საკმაოდ მძლავრი და პირველი ადგილიც უკარავსო, მაგრამ მაინც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ რუსეთის ესკადრა იაპონიისა და ჩინეთის წყლებზე თითქმის უღრას ბრიტანისა. რუსეთის ესკადრას მოსდევს ესკადრა საფრანგეთისა და შემდეგ-ი გერმანიისა. ყველაზე სუსტი ჩინეთ-იაპონიის წყლებზე აიერიკის ესკადრაა. ამნაირად ბრიტანის ესკადრა შეიძლება დიდ ხიჯათში ჩაყარდესო, რუსეთის საფრანგეთის და გერმანიის ესკადრები თუ შეერთდნენო. ამიტომ ქადაგებენ ინგლისური გაზეთები, ჩვენი ესკადრა უთუოდ უნდა კავშირდებოდეს.

აბესსინია. ამესსეეროსა კორესპონდენტთან ბასიის დროს შვეიცარიულ ინჟინერს ილიას, რომელიც მენელიკთან იმყოფება სამსახურში და ამ მოკლე ხანში ევროპაში იყო გაგზავნილი სხვა-და-სხვა დავლებით, უთქვამს, რომ აბესსინელი ამ ომს „წმიდა ომი“ სთვლიანო. შეიძლება მენელიკი დამარცხდეს კიდევ, მაგრამ აბესსინელი მაინც არ შესწევს უცხო ერის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლასო. მენელიკის მხედრობა ბარბაროსთა ბრბო ნუკავის ჰგონია, იგი კარგად შეიარაღებული და მამულს სიყვარულით გამსჭვალულიაო. მხედრობის შენახვა ძვირად არ უჯდება მენელიკს და საჭირო სურსათიც ბლომად აქვს. ნეგუსის ქვეყანაში არავითარი უთანხმოება არ არსებობს, პირიქით ყველა ერთგვარად სცნობს, რომ ძალა და უფლება მხოლოდ მენელიკის ხელშია. აბესსინელს ჯარს მომეტებულ ნაწილად იტალიანური თოფები აქვთ. 10 ათასი თოფი გრაფმა ანტონელომ მიიტანა აბესსინიაში. შემდეგ-ი თოფები საფრანგეთშიაც შეიძინეს.

შურნალ-გაზეთებიდან და ვიზებიდან

— ორს გამოჩენილს ინგლისის ბელეტრისტს (რომანებისა და მოთხრობების მწერალს) ერთსა და იმავე დროს მოუხდათ გამოთქვით თავისი აზრი ცივილიზაციის ავკარგინაობაზე. ერთი ვალტერ ბეზანტი და

მეორე ქალი-მწერალია უიდა. ორივე დიდად გამოჩენილი არიან ინგლისში და დიდად პატივცემულნი. ქალის უიდას აზრი ამ საგანზე დიდი ხანია ცნობილია. ეს ნიჭით გათქმული მწერალი ქალი ამ ბოლოს წლებში, როცა-კი სიტყვა ჩამოვარდნილა ცივილიზაციის შესახებ, ყოველთვის დიდს გული-წყაროვით მიჰყვება ცივილიზაციას, ავად-უხსენებია და უსაყვედურნია კიდევ ინგლისის კანონ-მდებლობისათვის, რომ მან სწავლა სავალდებულოდ გაადა ყველასათვის. სწავლისაგან რა ხეირი ეყრება ღარიბსაო იმის გარდა, რომ ცრუ-აზრები გამოაქვს და შეუძლებელი იმედები. იმაზედაც-ი სწავრება ქალბატონი უიდა, რომ აფიშებს აკრვენ ხოლმე თითქმის ყველა ხეს და მით თვალს სიამოვნებას აკლებენ. უკანასკნელი წერილი უიდასა დღევანდელ თოფ-იარაღის ქვეშ დგამს ბიჭებს და პრინსებს, აგრეთვე ებლანდელს მუშაობას და საქმიანობას გამდობრებისათვის. მართალია, ამ მხრით ეს მწერალი ქალი ღრმად არ აკვირდება საქმეს და მართა წერილმანებს ასხენებს. მაგალითებ, მას ენანება, რომ ლაზს ტყეებს, ქალებს, ლაშხ ადგილებს ვერ სთბრის და აფუტებს მრეწველობა. „რაღ უნდა ადაიანსაო, ამბობს იგი მთელი ეს ქვეყანა, თუ სული არ ედგებოდა? რა ხელ-საყრელია კაცს ერთს საათში მოიაროს მთელი ქვეყანაო, თუ ეს ქვეყანა უდაბნო-ქვიშრობს ეგვანება, საცა მართა ქვა და ქვიშა იქნება მოფენილი და არც ერთი ხე არ იდგება, რომ თვალმა გაიხაროსო, ან თუ ერთს უშველებელ ქალაქს დაეგვიანება, საცა არც სიტურფა და არც პოეზიაო“.

ამის ძერმედ ამ ცივილიზაციაზე განრისხებულს მწერალ-ქალს მოჰყავს არა ერთი მკალითი იმისი, რომ ცივილიზაციამ ბევრი რამ მშვენიერება გაანადგურა დედა-მამის ზურგზედა. „მშვენიერი კუნძული წმ. ელენესი ვენეციაში სახაველ ხარახურის საწყობად გაუზადა რკინის გზებსაო“. არღენები დათხრილია და გამჭვრეტლიანებული ფაბრიკების კომლისაგანაო. ჭუკინის ტბა და შრეს გამორჩობისათვისაო, ამისთანა ბედოვე ეწვია ტრაზიმენის ტბასაო, ამ დღემოვე ჩაცვიდნენ სხვა ბევრი ტბები შოტლანდიასა და ინგლისშიო“.

სულ სხვა აზრისაა ვალტერ ბეზანტი, ამ მშვენიერს ქვეყანაში ყველაფერი მშვენიერად მიდისო. მისი აზრით თავის დღეში ადამიანს ისე გაუჭირებოდა და მზიარულად არ უცხოვრებია, როგორც ესლაო. „ღარიბთა მხედრობი დღეს ბევრად უკეთესია, ვიდრე უწინაო. მუშის ფასმა იმატა, ხანგრძლივობა მუშაობისა შემოკლდა, საქმელ-სამუშელო გაუფრთხილდა და უკეთესიც არისო, ტანთ-საცმელი და ფეხთ-საცმელიც აგრეთვეო. ერთის სიტყვით, მუშა-ხალხის კეთილ-მდგომარეობა ესლა რამდენჯერმე მეტია უწინდელზედაო. რა არის ყოველ ამისი მიზეზი? რა თქმა უნდა, ალბ-მიცემობის წარმატება, რკინის გზებისა და გემების გამარჯვლება და სხვა ამისთანა. მუშა-ხალხის სწავლას და განათლებასაც დიდი წილი უდევს ამ ცხოვრების წინსვლაშიო. ხოლო ეს კიდევ არა კმარა, რომ კაცმა სხვა აღარა ინდომოს-რაო, ღარიბი მაინც ისე კარგად არ არის მოწყობილი, როგორც სახატრულიაო. მაინც და მაინც შემდეგისათვის კვლავაც ბევრი რამ საკეთილო კეთდებაო. ხომ ჰხედავთ რამდენი სამაგალითო სახლი შენდება ლონდონში, საცა ათი-ათასი მუშაკიც მხოლოდს მშვენიერს და ჯან-მრთელიან ბინასა. სასხეულნი, სამკურნალონი ყველგან შენდება მრავალ-მრავალიო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა აუარებელი კოჭლი, ბრბო და სხვა ამისთანანი დაწინააღმდეგენ ჩემს ყმაწვილობის დროს ქუჩებშიო... ეს-ესა სადა ჰხანავთ ამავსაო!“ (ბ. გ.).

აი ორი ერთმანეთის წინააღმდეგი აზრი, გამოთქმული ორ სახელოვან რომანების მწერალისაგან ინგლისში. ერთი სწველის ცივილიზაციას, რომ პოეზია დაუკარგე ადა-მიონსაო და მეორე აქებს და აღიღებს, რომ აღაძინებო ეხლა უფრო მაძლარია და უკვე ჩაცმულ-დახურული შენის წყალობითაო. ერთი სულის კლებას დარდობს და მეორე ხორცის მატებას შეხარის. იქნება, მართალი ამ ორთა შუა იყოს.

— დიდი ხანია შემცნეულია, რომ პირველი ერთმანეთის სანიშნავად უნდა ჰქონდეთ რამე მინიჭებული, თორემ უმის-სოდ ძნელი ასახსნელია ის უმეტესი მავალითები, როცა იგინი ერთი ერთმანეთის მიუხედვით ხოლმე, ამის გუმინის აღებამ ზოგიერთს მსწავლულს და მეცნიერს სურვილი ადუძრავ შეტყუო და გამოეძიებინა მნიშვნელობა ხმისა, რომელსაც პირველი ამოიღებს ხოლმე პირველსავე გასაგანად. ზოგი ამასაც არ დასჯერდა და ზოგმა მეცნიერმა ისიც მოიწადინა, რომ თვითონა მან დაეწავლა ეს ხმები, რომ პირველს სანიშნავად ეხმარა ლაპარაკით.

ამერიკელი მეცნიერი ჰარნერი შესდგომა ამ საქმეს და რამდენისამე წლის განმავლობაში ცდილა გაეგო, რომ მიამუნები როგორ ავებინებენ ერთმანეთს რამეს და რისთვის რა ნარის ხმებსა ჰხმარობენ. მას ჩვენსამე ერთს გალიაში ორი მიამუნია. რანდენსამე ხანს შემდეგ ერთმანეთისათვის განუზომებია, ცალ-ცალკე გალიაში ჩაუსხამს და სხვა-და-სხვა ოთახში გაუყვანია. მას მერმედ ერთის მიამუნის გალიის გვერდით დაუდგამს ფონოგრაფი. ამ მიამუნს ბევრი უბუზღუნია ჯავრისაგან, რომ ამხანაგს მოაშორეს. ეს ბუზღუნე, რა თქმა უნდა, ფონოგრაფს გადუღდა. მეგრე ეს ფონოგრაფი წაუღია და მეორე ოთახში მეორე მიამუნის გალიის გვერდით დაუდგამს, მოუშარათეს და ფონოგრაფს განუზომებია პირველის მიამუნის ბუზღუნე. მიამუნს ყურები უსწევტა და ისე გაჰკვირვებია ეს თავისი ამხანაგის ბუზღუნე, რომ მეტი არ იქნება. ხან იქით მივარდნილა გალიაში, ხან აქეთ, რომ დაეწახა თვისი ხმით-ცნობილი ამხანაგი, ეგონა აქ სადმე არისო. ბოლოს გალიიდან ხელი გამოჰყო ფონოგრაფს მიაკარა და სინჯა დაუწყო. შიგ ხომ არა ჰხისო. როცა ფონოგრაფმა კიდევ ხმა ამოიღო და განიშროა ბუზღუნე პირველის მიამუნისა, ამ მეორე მიამუნმა სიხარულით ყური დაუღო და სიხარული ხმაურით გამოაცხადა. ფონოგრაფმა რომ პირველს მიამუნს მეგრე გაუშროა ეს სიხარულის ხმაურობა მეორისა, პირველმა მიამუნმაც იცნო ხმა თავისის მეგობრისა. ამ სახით, ჰარნერმა გული დააჯერა, რომ მიამუნები სხვა-და-სხვა ხმასა ჰხმარობენ, რომ ერთმანეთს გააგებინონ რამე.

რაკი ამას დააჯერა გული, ჰარნერი შეუდგა ამ ხმების სწავლას იმ აზრით, რომ მე რომ მიამუნურად ხმას ამოვიღებ, მიამუნე მიმიხედება რამე, თუ არაო. დიდასს ცდილა და ფონოგრაფის შემწეობით უზგიობებია სხვა-და-სხვა ხმა მიამუნისა, რომელიც ფონოგრაფს დაუჩვენია და მერე უმეორებია. ამ სახით ჰარნერს თითქმის იქამდე მიუხედავია, რომ შემუღიან სიტყვას (კოტიაოდნი სიტყვები „მიამუნის ენისა“ ვიცო. ჰარნერი დაწერილი მთავითხრობს, რა გზით გაუგონებია მიამუნებისათვის „შომშილი“ ანუ „საქმელი“, „წყურავილი“, ანუ „სამელი“. ესლა თურმე ჰარნერმა უკვე იცის რა ხმით გააგებინოს „შიში“, „განსაცდელი“ და სხვა ამისთანა. იგი გვარწმუნებს, რომ თვითველამისთანა გასაგებს თვითვეული, განსაკუთრებული ხმა აქვს მიამუნთა ენაში, არაფერი ერთი ხმა მეორეს არა ჰგავს და მიამუნებს შეუცდომლად და ნიშნობლოვ ემით რას ეუბნება თვითვეული ცალკე ხმაო. (ბ.)

საბართველოს თავადნი.
— თავადნი ლორთქიფანიძე. ნ დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს იმერეთის თავადთა საჯგახს საბაში აღნიშნულნი აჩაან თავადნი ლორთქიფანიძენი და ჩამოეთქვილა 27-ი საჯგახსა, რომელნიც უდავლობისა გაქა აქ არ მოგვეყას.

გბილის ექიმი
ს. ი. მრბელი
სოლოლაკხელსაკუთ. სახლებში № 14—16
ავადმყოფების მიიღებს:

*) ფონოგრაფი იმისთანა მანქანაა, რომ ყოველს ხმას, ყოველ სიტყვას, ყოველ ბგერას ისე გაიმეორებს ზედ-მიწევნილად, რომ მართალში ვერ გამოარჩევთ.

„იპერიის“ უოსტა
—
ხილნაღი, ივ. შ.—ს: თქვენი „იპერიისკლავის“ ამბავი ვერაფერი საინტერესოა.
ტფილისი, თათოვს: სამდღელოების საყურადღებოდ არ დაიბეჭდება.
მღვდელს ს—ს: „მიგებია ახალგაზდა მეუღლეთადმი“ არ დაიბეჭდება.
ქუთაისი, ბ-ნ ზიარელს. თქვენგან გამოგზავნილ წერილის საგნის შესახებ უკვე დაიბეჭდა წერილები, ამიტომ თქვენი წერილი აღარ დაიბეჭდება. გაზეთი გვეგვანებათ.

ბანსხალბანი

ბირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(ქუთაისი, ვორონოვის ძეგლს პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

- ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულბანი სახი-რჯირო, ვინერიული და სიფილისი.
 - ე. მ. ჩაქვანი, 9—10 საათ. სნეულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერ-ვისისა.
 - ექ. ქაჯი ა. ი. დუხაგა რუდანი-გა 11—12 საათ. სნეულბანი: დე-დათა სქესისა და ბავშვებისა.
 - ო. ჭ. შარაცასეიანი. 12—1 საათ. სნეულბანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით; ოთხშაბათობით და პარასკე-ობით.
 - ა. მ. შუგინაგია. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავად-მყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
 - ა. შ. კანაშკიანი. 1—1 1/2 სა-ათ. სნეულბანი: შინაგანი და ბავ-შვებისა.
- საღამოობით:
- ო. ფ. შარაცასეიანი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
 - ა. მ. შუგინაგია. 5—6 საათ. ორ-შაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
 - ა. გ. გუგრა, 6—7 საათ. სნეულბანი: სიფილისი, ვინერიული, შინიგანი და კანისა.
 - ა. გ. გუგრა. გამოიკვლევს ქიმი-ურად და მიკროსკოპიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
- ჩვევა-ღარიბებისა და რეცტების დაწე-რის ფასი ათი შური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამ-კურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთთვის.
დაიქტობა სამკურნალოდ დოქტო-რა მკდრებისა ნავასარდიანი. (წ.)

გბილის ექიმი
ს. ი. მრბელი
სოლოლაკხელსაკუთ. სახლებში № 14—16
ავადმყოფების მიიღებს:

Н А С Т О Л Ы Й
ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ,
изд. Т-ва А. ГРАНАТЪ и К°,
ОКОНЧЕНЪ ПЕЧАТАНИЕМЪ.
Все издание составляет 8 томовъ.
Цѣна тому въ переплетѣ на обыкновенной бумагѣ 5 руб., на лучшей 6 рублей
СЪ 1 МАРТА 1896Г. Цѣна БУДЕТЪ ПОВЫШЕНА.
Проспекты съ отзывами печати и выдержками изъ текста высылают-ся бесплатно.
Главная контора: Москва, Большая никитская, д. Рихтеръ, ря-домъ съ университетомъ. (3—1).

დილით 10-დან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დან 6 საათამდე.
ჰიბია-შაქვი ღებავი
დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (166—1891—68).

ხელ-მეორედ გამოვიდა და წიგ-ნის მალაზიებს დაურიგდათ გა-სასყიდად
ფილოსოფოსი
სოკრატე
თაგუნა მ. მარაძისა,
გამოცემა მ. შარაძისა და აბს. სტამბი-სა
წიგნი 63 გვერდიანია ლირს-ური შური. ვინც წარდად და-დაკლებულს ფასით, სყიდვას-სურვებს, უნდა მიჰმარაძისა და აბსან. სტამბი-სა-სოკოლოძის ქუჩაზე, № 1, ივე-რისი რედაქციის ქვეშ.

!!ერიდეთ, არ მოსტყუდეთ!!
ჰიბიანური
ბორნო-იმიოქულის საბონი
გ. ვ. იურბენისა
აქრობს ჰორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვი-თელს ლაქებს, ფერის მკამელასა და მეტე-ქებს, აგრეთვე სპოსს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნელოვანი და მალალის ხარისხისა, ეს საბონი იხმარონ.

აქრას მედლი 1895 წ.
ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ.,
1/2 ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთი-აქო მალაზიებსა და აფთიაქებში.
პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურბენის მოსკოვში აქვს. დეპო-ტფილისში ავტორივთან, კავკასიაში სააფ-თიაქო ნივთებთ მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივინკთან, მ. პოპოვებთან და არისტაკოვთან.
(24—3)

ის უ ი დ ბ ა
ყველა წიგნის მალაზიაში ახალი ქა-რთული წიგნი
სოლვა
სიხვარულისა
(Crime d' amour)
რომანი
ზოლ ბურკესი.
თარგმნილი გრ. უიფშიძის მიერ.
ფასი 70 კაპ.
ვინც 5 ცალხელ მეტს დაიბარებს პირ-და პირ მთარგმნელისაგან, 20% დაეთმობა. აღრესი: Тифлисъ, ре-дакция „Моамბѣ“. Гр. Кишшидзе.